

ძირითადი ხელშეკრულება

სტანდარტული პირობები

მუხლი 1. სესხის გაცემის პირობები

- 1.1. წინამდებარე სესხის ხელშეკრულებაზე ელექტრონული ფორმით დათანხმებით მსესხებელი ადასტურებს რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, სრულად გამოხატავს მის ნებას და მასზე ელექტრონული ფორმით დათანხმებისთანავე უერთდება/ეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.
- 1.2. მსესხებელი ადასტურებს, რომ მის მიერ სასესხო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის ნამდვილი და კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას მის სიზუსტესა და უტყუარობასთან დაკავშირებით. მსესხებელი აცხადებს რომ იმ საპროცედურულ სანქციებს, რომელიც გატარებული იქნება არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში. გამსესხებელს აქვს უფლება განახორციელოს ზარი იმ ნომერზე რომელიც მითითებული აქვს მსესხებელს სესხის გაცემის განაცხადში, აგრეთვე ნებისმიერი კანონისმიერი საშუალებით გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ინფორმაციის სისწორე;
- 1.3. სესხის ხელშეკრულებაზე ელექტრონული ფორმით მიერთებისას ან ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილის, სესხის განაცხადის ამოქვეყნებულ ვერსიაზე ხელმოწერისას მსესხებელი უნდა ადასტურებდეს, რომ იგი აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა სესხის გასაცემად:
 - 1.3.1 მსესხებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სრული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი;
 - 1.3.2 მსესხებლის ასაკი - 21 -დან 65 წლამდე;
 - 1.3.3 სესხის გაცემის განაცხადის შევსებისა და მასზე ხელმოწერის ან დათანხმების დროს მსესხებელი სრული ქმედუნარიანი და არ იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ფსიქოტროპული პრეპარატის და ტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ;
- 1.4. სესხის ვადის ათვისება იწყება იმ მომენტიდან როდესაც მსესხებელი სესხის ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად მიიღებს სესხს;

მუხლი 2. სესხის გაცემა

- 2.1. მსესხებლის მიერ სესხის თანხის მიღება დასტურდება
 - ა) გამსესხებლის მიერ გაცემული ჩეკით, რომელიც გადაეცემა მსესხებელს საბანკო დაწესებულებაში წარსადგენად თანხის განაღდებას მიზნით, სალაროს გასავლის ორდერით, თანხის ჩარიცხვის/განაღდებას დამადასტურებელი დოკუმენტით, მათ შორის გამსესხებლის პარტნიორი კომპანიების კუთვნილი ობიექტების მეშვეობით, ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტით.
- 2.2. გამსესხებელი სესხს გასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც:
 - ა) მსესხებელი გამსესხებელს მიაწვდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციას;

მუხლი 3. საპროცენტო სარგებელი, მისი დარიცხვის და შეცვლის წესი.

- 3.1. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 360 დღეზე გაანგარიშებით. სესხი არის პროცენტის, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება სესხის სრულად დაბრუნებამდე, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის გადახდის გრაფიკის ვადისა.
- 3.2. სესხზე დარიცხული ექვეტური წლიური საპროცენტო სარგებლის მასქიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 4. პირგასამტეხლო, მისი დარიცხვის და გადახდის წესი.

- 4.1. თუ მსესხებელი დაავიანებს ან არ გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს, გამსესხებელი უფლებამოსილია დარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული არის გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის შეთანხმებული ოდენობით, რომელიც შეადგენს მთლიანი გადასახდელი თანხის 0.27 %-ს . პირგასამტეხლოს დარიცხვა გარგებდება სესხისა და სარგებლის იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე;
- 4.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელის გადახდის ვალდებულებისაგან.
- 4.3. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 10 (ათი) დღის ვადით გადააცილებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის რომელიმე ეტაპის შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სესხის ნაწილში, რა დროსაც მსესხებელი ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამსესხებლის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა უზრუნველყოს გამსესხებლისათვის სესხის დარჩენილი ნაწილის დაბრუნება.

მუხლი 5. სესხის წინსწრებით დაფარვა

- 5.1. მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სესხის თანხის წინსწრებით ვადაზე ადრე დაბრუნება გამსესხებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე შესაბამისი წინასწარი შეტყობინების დაფიქსირების შემდგომ.

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

მსესხებლის განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

- 6.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
 - 6.1.1. გააჩნა წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების და განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებული ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა.
 - 6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისათვის არ მონაწილეობენ არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.
 - 6.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის მის მიერ გამსესხებლისათვის წარდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი.
 - 6.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ გამსესხებელთან ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.
 - 6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, გამსესხებლის ან სხვა მესამე მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების, ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე.
 - 6.1.6. მისთვის ცნობილია, რომ გამსესხებლისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება სესხის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, და/ან შეღავათიანი სესხის მიღების მიზნით, წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად და იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.
- 6.2. მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ გამსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარის საფუძველია გამსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწყვეტაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს სესხის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული არის გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში დაბრუნოს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და გამსესხებლის მიერ დაკისრების შემთხვევაში,

პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით.

6.3 გამსესხებელი იტოვებს ვალდებულებას, რაზედაც მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ სესხის გაცემა არ არის გამსესხებლის ვალდებულება, არამედ წარმოადგენს გამსესხებლის უფლებას და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ვალდებულებას დაადასტოს, რომ სესხის დაბრუნება და შესაბამისი ვალდებულებების აღსრულება არ არის დაგეგმილი.

6.4 გამსესხებელი, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.4.1. გააჩნია სრული უფლებამოსილება და შესაძლებლობა, დადოს ხელშეკრულება და შესაბამისი მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;

6.4.2 არ არსებობს უფლებამოსილება, თანხმობა, მითითება ან შეტყობინება ნებისმიერი მესამე პირისგან, რომელიც აუცილებელია გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების დადებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის;

7. ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

7.1 ხელშეკრულების პირობების სესხებლის მიერ დარღვევულად ჩაითვლება თუ:

7.1.2 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არსებითი პირობ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში.

7.1.3 მსესხებელი ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში და დადგინდეს, რომ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებლის საქმიანობას და ექვემდებარება განმეორდება ზედხედავას.

7.1.4 მსესხებელი ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით დადგინდეს ნებისმიერ ვალდებულებას ან მსესხებელს და გამსესხებელს შორის არსებულ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.1.5 გამსესხებელი ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით დადგინდეს ნებისმიერ ვალდებულებას ან მსესხებელს და გამსესხებელს შორის არსებულ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.1.6 გამსესხებელი დაადასტურებს, რომ საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებლის გადახდისუნარიანობას;

7.1.7 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს მსესხებელს ქონებას ან სხვა აქტივებს, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან ექსპროპრიაციას.

7.1.8 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან აღმოჩნდება არასწორი;

7.1.9 მსესხებლის მოქმედება მიმართულია გამსესხებლის მოტყუებისაკენ, ან აყენებს მას ზიანს;

7.1.10 მსესხებელზე გაიხსნება საგაოტრებო (გადახდისუნარიანობის საქმის) წარმოება ან წამოწყებული იქნება სასამართლო წარმოება მის მიმართ, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებლის ქონებას ან საეჭვო გახდება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

7.1.11 არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის საფუძველი მსესხებლის საკუთრებაში, სადამფუძნებლო დოკუმენტებში ან მის მმართველობაში (შერწყმის ან რეორგანიზაციის ჩათვლით) თუ არ არსებობს გამსესხებლის წერილობითი თანხმობა ასეთი ცვლილების თაობაზე.

7.1.12 მსესხებლის ან მისი თავდების მიმართ დადგება ლიკვიდაციის, გაკოტრების, გადახდისუნაროდ გამოცხადების მოთხოვნა ან თუ თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ.

7.1.13 მსესხებლის ან თავდების, მათი ქონების, მმართველობის ორგანოებისა და უფლებამოსილი პირთა მიმართ სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომელიც არსებითად გართულებს ან შეუძლებელს გახდის მსესხებლის მიერ საკუთარი ქონების განკარგვას, მისი მმართველობის ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილი პირთა საქმიანობას.

7.1.14 თუ სასამართლო გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე.

7.2 ზემოთ აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში გარდა მუხლი 7.1.3 ისა რომელიც დარღვეულირებულია მუხლი 4.3 -ით გამსესხებელი უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე:

(ა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მსესხებლისათვის წინასწარ 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების მეშვეობით და მოსთხოვოს მას კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში, რაც არ ნიშნავს გამსესხებლისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას და/ან შელახვას;

(ბ) უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს მსესხებელი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს გამსესხებლის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი მსესხებელთან და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე უშუალოდ მსესხებლისაგან (მათ შორის მისი სალაროდან) მიიღოს გამსესხებლის კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს გამსესხებლის წარმომადგენლის დამკვეთს უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შესაძენად და/ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი.

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძველებით:

8.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.2.2 მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;

8.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 და მე-8 მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას;

8.2.4 მსესხებლის ან მისი რომელიმე კრედიტორის მიერ საგაოტრებო წარმოების წამოწყება, აგრეთვე ნებისმიერი სასამართლო დავის წამოწყება, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებლის ქონებას ან საეჭვო გახდება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

8.2.5 ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი დანართებით და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

8.3.1 მსესხებელი ვალდებული არის დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (მირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) გამსესხებლის წინაშე;

8.3.2 გამსესხებელი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსესხებლის წინაშე.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტის წესი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია თბილისი.

9.2.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

9.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს პრობლემური აქტივების მართვის გარე კომპანია, არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

9.5. დაგვიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელზე ინფორმაცია გადასცეს სხვა კრედიტორებს, მათი უფლებების დასაცავად.

მუხლი 10. შეტყობინების წესი.

- 10.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართებზე, ტელეფონებზე და ელექტრონული ფოსტაზე;
- 10.2. მსესხებელი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის მიერ გამოგზავნილი ყველაწერი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე (მათ შორის ელ ფოსტის საშუალებით); მსესხებელი ადასტურებს, რომ ზემოთ აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერ(ებ)ი ნამდვილად მას ეკუთვნის;
- 10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართზე (მათ შორის ელ ფოსტის საშუალებით), მიუხედავად მისი ჩაბარების ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად;
- 10.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი შეიცვლის ადგილსამყოფელს (მისამართს), იგი ვალდებულია აღნიშნულს თაობაზე წერილობით აცნობოს გამსესხებელს;
- 10.5. ამ ხელშეკრულების 10.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს), საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ახალი მისამართი და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულების 10.2 და 10.3 მუხლებით დადგენილი წესები;
- 10.6. ამ ხელშეკრულების 10.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით არ აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს), საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი და ამ მისამართზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების 10.2 და 10.3 მუხლებით დადგენილი წესები;
- 10.7. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 10.4 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება გამსესხებლის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არაორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ გამსესხებლისათვის ცნობილი იყო მსესხებლის ახალი მისამართი.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

- 11.1 მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (ი) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (იი) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (იიი) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 11.2 ამ ხელშეკრულებით მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო და შეუზღუდავ უფლებას, მსესხებლის შესახებ ნებისმიერი (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) ინფორმაცია (მათ შორის მსესხებლის პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია მსესხებლის ვალდებულებების შესახებ) ან/და მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის გენერალური ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულება და სხვა საბუთები) მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს:

- ა) სს „კრედიტიფო საქართველო“ და სხვა საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროებს, რის შემდეგაც მსესხებელი აღირიცხება შესაბამისი ბიუროს მონაცემთა ბაზაში, ამასთან გამსესხებელი უფლებამოსილია გაეცნოს საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროების ბაზებში აღრიცხული ინფორმაციას მსესხებლის შესახებ (მათ შორის მსესხებლის საკრედიტო ისტორიას);
 - ბ) ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ/დაქვემდებარებულ უწყებებს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შსს მომსახურების სააგენტოს და სხვა მსგავს დაწესებულებებს);
 - გ) სხვა საფინანსო ინსტიტუტებს (მათ შორის, კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს);
 - დ) სასამართლოს, არბიტრაჟს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან/და ნებისმიერ პირს, რომელიც ჩაერთვება მსესხებლის დავალიანების დაფარვის (მსესხებლისგან ვალის ამოღების) პროცესში;
 - ე) მსესხებლის სხვა კრედიტორებს, მათი უფლებების დასაცავად;
 - ვ) გამსესხებლის შვილობილ და სხვა მონათესავე საწარმოებს;
- გამსესხებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს (კონტრაქტენტებს);
- ზ) მსესხებლის მიერ მითითებულ საკონტაქტო/ალტერნატიულ პირს.

11.3 გადასაცემი ინფორმაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, სესხის/ვალდებულების მოცულობას, სესხის მიზნობრიობას, საკომისიოს (პროცენტის), პირგასამტეხლოს, ჯარიმის/ან/და სხვა გადასახდელის ოდენობას, მსესხებლის მიერ სესხთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით განხორციელებულ გადახდებს, დავალიანების ოდენობას, მონაცემებს სასამართლო/საარბიტრაჟო განხილვის და სააღსრულებო წარმოების/გამართლებული წარმოების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

11.4 მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

- ა) მოითხოვოს და მიიღოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერ პირთან (მათ შორის ამ ხელშეკრულების 3 პუნქტში ჩამოთვლილ პირებთან) ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შსს მომსახურების სააგენტოს ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში) არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);
- ბ) ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია მსესხებლის მიერ გამსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ.

გ) გამსესხებელი მსესხებელს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უარს აცხადებს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის გამსესხებლის მიერ გამჟღავნებით, გავრცელებით ან/და შესაძლო პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

11.5 მსესხებელი თანახმაა, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერ დროს ნებისმიერი მარკეტინგული ან/და სხვა მიზნით (მათ შორის, სარეკლამო კამპანიის ან/და პრომო აქციის ფარგლებში) გამსესხებლისგან ან/და გამსესხებლის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ისგან მიიღოს წერილი, მოკლე ტექსტური ან/და სხვა სახის შეტყობინება ან/და სატელეფონო ზარი მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებულ მისამართ(ებ)ზე ან/და ტელეფონის ნომერზე. მსესხებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს გამსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენების შეწყვეტა.

11.6 ამ ხელშეკრულების დადებით მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ მსესხებელსა და გამსესხებლის წარმომადგენელს/დასაქმებულს შორის განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) გამსესხებლის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა გამსესხებლის საკუთრებად და გამსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს ის ნებისმიერი მიზნით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 არც ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით;

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო ან სხვა მსგავს მოქმედებებს

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადასტურების შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფორს-მაჟორული გარემოება საყოველთაოდაა ცნობილი). ასეთ შემთხვევაში, მხარეს, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების ვადით გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორს-მაჟორულმა გარემოებამ და იგი არ გათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისგან, რომელსაც ხელს არ უშლის ფორს-მაჟორული გარემოება

12.4 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდება, მსესხებელი ან გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სესხის ნაწილში. ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი დღისა, დაიბრუნდება სესხი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე შეტყობინების მიღების მომენტამდე რიცხულ სარგებლთან ერთად, რაც იქნება იპოთეკის საგანზე გამსესხებლის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის გაუქმების პირობა. მსესხებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს პირგასამტეხლო იმ დროისათვის არსებული სესხის ძირი თანხის 0,3%-ის ოდენობით. გარდა ამისა, გამსესხებელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს ხელშეკრულების 12.4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება სესხისა და სარგებლის დაბრუნებამდე (გადახდამდე), ან იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლამდე, ან იპოთეკის საგნის რეალიზაციამდე (იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, აღნიშნული პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით თანხის (სესხი, სარგებელი, პირგასამტეხლო, საარბიტრაჟო, სააღსრულებო, გამსესხებლის იურიდიული მომსახურების ხარჯები) ამოღებამდე);

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებას ან/და დამატებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

13.2 რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადაზარალებული) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;

13.3 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება გამსესხებელს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითი და დამატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მსესხებელი:

13.4.1 თითოეული ასეთი მსესხებელი წარმოადგენს გამსესხებლის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

13.4.2 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს;

13.4.3 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამსესხებლის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

13.4.4 ერთ-ერთ მსესხებელთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა მსესხებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ გამსესხებლის მიერ რომელიმე მსესხებლის მიმართ თავისი უფლებების გამოყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა მსესხებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

13.4.5 ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგებებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე. გამსესხებლის წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელს უფლება არა აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

13.6 მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურიდიული მისამართი.

13.7 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.8 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

13.9 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს (მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებას) მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება.

13.10 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.11 ხელშეკრულება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ;

13.12 მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სრულად ესმით ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი და ეთანხმებიან მათ.